



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგბოღი ბეჭე-
უჭი სიფყვას, ცუდიუბით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყუღა უჯადისებაჲ უსაბაგლესია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი. 2019 წ. №191 (8857)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

არასასაქართველო გრუზინო- ფოხია



2009-01-27 Андрей Елифанцев
Была ли Грузия союз-
России? Политическая
выживания грузинско-
государства

В последние несколько лет и особенно после августовских событий нередко слышны голоса, упрекающие Россию в том, что из-за своей неумной и близорукой политики она потеряла свою самую надежную союзницу на Кавказе – Грузию. Такие голоса слышны как из России, так и, конечно же, из Грузии. Говорят, что Грузия исторически всегда стояла на страже российских интересов, с Екатерининских времен являлась оплотом России на Кавказе, что грузины всегда были верными союзниками русских, да и, возможно, вообще нашими самыми близкими друзьями. Правда, в последние 15 лет неадекватная и преступная политика России по отклевыванию частей исконно грузинской территории, нежелание пускать Грузию в НАТО, глупый запрет на продажу вина и Боржом привел к тому, что даже такой близкий друг и союзник, как Грузия, отвернулся от России и готов бежать куда угодно, но только бы подальше от нас.

„მოკლავთ საქართველო?!“

გაყალბებული ისტორია კეპეონისტური პოლიტიკის სასასურში

რუსეთში გრუზინოფობია მძლავრობს. რუსი ობიექტების ცნობიერებაზე იერიში მიაქვთ: რუსეთის მტერი უნდა ვეძებოთ უბირველესად საქართველოში!
რიგითი, ყოფითი გრუზინოფობია ისეთ ნი-
უანსებშიც კი ვლინდება, როგორც ქართული
წარმოშობის გამოჩენილი რუსი პოეტისა და სა-
ზოგადო მოღვაწის (თვითონ ამბობდა, მე რუსი
ვარო) ბულატ ოკუჯავას გარდაცვალების გამო
„გამოსათხოვრად“ დაინერა თავის დროზე; „გარ-
დაიცვალა ანტირუსული ინტელიგენციის მორიგი
წარმომადგენელი და უბრალო რუსმა ადამიანებ-
მა სულ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს“.
გრუზინოფობია, როგორც მოვლენა, ჩვენ-
ში უკვე მეცნიერულად შეისწავლება, ნაი-
კითხეთ ომარ გოგიაშვილისა და ნოდარ ფო-
რაქიშვილის „უგუნურება და უგუნურები“. –
ზღვა მასალითა და საფუძვლიანი მსჯელობით
გაჯერებული ორნაწილიანი, ვრცელი, დიდუ-
ბული გამოკვლევა.
უსასრულოდ უბერავს სიძულვილის ქარი
ჩრდილოეთიდან. **განმარტებისთვის:** ადამია-
ნურ ურთიერთობებში ეს სიძულვილი ნაკლებ-
ბად იგრძნობა, ისევე როგორც საქართველოში
„ნაციონალთა“ და „ევროპული საქართველოს“
მხრიდან ფორსირებული ყოველივე რუსულის
სიძულვილი, ანუ, ძველი კატეგორიებით თუ
ვიმსჯელებთ, ხალხი არაფერ შუაშია, რუს კაცს
ქართველის შესაძლებელი არაფერი აქვს.
თუმცა, როგორც ვთქვი, ეს მაინც ძველი კატე-
გორიებით აზროვნებაა. რუსეთის პრესა და ტე-
ლევიზია ისე ურყენიან გონებას ადამიანებს,
განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომ სულაც
არ უნდა გაგვიკვირდეს, ისინი კბილებს აკრა-

ჭუნებდნენ. რუსეთი, ფაქტობრივად, ნომერ
პირველ მტრად გვექცა. ასე ფიქრობენ რუსეთში
საქართველოზე და ასე ფიქრობენ საქართვე-
ლოში რუსეთზე. რუსეთის მიმართ ჩვენი
„მტრობა“ მაინც არსებული ვითარების გამო-
ძახილია, მიყენებულ ტვიკილზე ბუნებრივი რე-
აქციაა და ყველაფრის (ისტორიული ნიაღვ-
ლების) მიუხედავად, იგი სულაც არ არის „მა-
სობრივი მოვლენა“, მას არ კვებავს საყოველ-
თაო იდეოლოგია (მოძვლით და, საქართველო-
ში რუსოფობია, როგორც ასეთი, არ არსებობს).
ქართველთა მოძულეობას (გრუზინოფობიას)
რუსეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს (ხანგრ-
ძლივი, ბოროტი და განტოტვილი), ქართველ-
თა მოძულეობა „ინდუსტრიულ რელსებზე“ შე-
ყენებული, უხვად ფინანსდება, აქვს გავრცე-
ლების განუსაზღვრელი სივრცე. ამ სისაძაღლეში
ყბადაღებული ჟირინოვსკის, მიტროფანოვის,
ბაბურინის, როგოზინის, ზატულინისა და სხვა-
თა მხარდამხარ ჩაბმულია ინტერნაციონალუ-
რი ჯგუფიც, ე.წ. „რუსი პატრიოტებისა“ არა-
რუსული გვარებით – ა. მიგრანიანი, ნ. აირა-
პეტოვა, ს. კურგიანი, ვ. რაში, ა. ვართანიანი,
ი. როტარი, ა. კასავეი, ა. პლივეი და სხვანი.
არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 1956
და 1989 წლების ტრაგიკული მოვლენების შემ-
დეგ საქართველოს წინააღმდეგ უწყვეტად, აგ-
რესიულად, უხვად, უნახევარტონებოდ ეწყო-
ბოდა „მხილება“, ლანძღვა, ქვეყნის მიწასთან
გასწორება... ეროვნული მოძრაობა კვალიფი-
ცირდებოდა ნორმალური ცხოვრების ნორმი-
დან უხეშ გადახრად.

იხ. 6-7 გვ.

გუგინ

საქართველოს პრეზიდენტი ბაიროს ბენერა-
ლურ ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა, მანამ-
დე კი მას საინტერესო შეხვედრები ჰქონდა.

სალომე ზურაბიშვილის შეხვედრები

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გაეროს
გენერალურ მდივანს ანტონიო გუტიერესს შეხვდა. ამის შესახებ სა-
ლომე ზურაბიშვილმა მიკრობლოგ ტვიტერზე დაწერა.
საქართველოს პრეზიდენტის თქმით, გაერო და საქარ-
თველო ბევრ სხვადასხვა სფეროში მჭიდროდ თანამშრომლობენ,
რასთან დაკავშირებითაც ის თავის გამოსვლაშიც გაუსვამს
ხაზს.



„დღეს, მე შევეუერთდი გენერალური მდივნის კამპანიას სექ-
სუალური ძალადობის წინააღმდეგ“, – დასძინა სალომე ზურა-
ბიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი ნიუ-იორკში გაეროს გენერა-
ლური ასამბლეის ფარგლებში, ევროპული საბჭოს პრეზიდენტს
დონალდ ტუსკს შეხვდა. ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილმა
მიკრობლოგ „ტვიტერზე“ დაწერა.
„სასიამოვნოა დონალდ ტუსკთან კიდევ ერთი შეხვედრა. სა-
ქართველო აგრძელებს სვლას ევროპისკენ და ყოველი მაღალი
დონის შეხვედრა არის შანსი იმისა, რომ იყოს მეტი საქართვე-
ლო ევროპაში და მეტი ევროპა საქართველოში“, – დაწერა სა-
ლომე ზურაბიშვილმა.

ნაცვებთან ძიკვილაობა უნდა დამთავრდეს!

ბანასლეზული მთავრობის იშედად? ④



სამწუხაროდ,
მუხეზლოვის
კულტურა ③
არ გვაქვს!

სულგუნი, ⑧
გულა,
ჩურჩხელა,
ქინძეარაული –
როგორ დავიხვათ
ქართული
პროდუქტები?!



ტრამპი ⑧
პლასტურებს,
რომ უკრინას
დახმარება
მან შეუძირა


სტუმრებს საქართველოს ნამყვანი პოზიციები გაასწავს

ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი აშშ-ის წამყვანი საინვესტიციო ფონდების ხელმძღვანელებს შეხვდა, რომელთა ვიზიტის მიზანია, ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალისა და ბიზნესგარემოს შესწავლა.

რებს გააცნო მაკროეკონომიკური პარამეტრები, საქართველოს წამყვანი პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში, ქვეყნის პოტენციური სატრანზიტო და ლოგისტიკური მიმართულებით. საუბარი, ასევე, შეეხო ბოლო წლებში ბიზნეს-

გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებსა და ინიციატივებს.

როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, ვიზიტის ფარგლებში შედგა საინტერესო შეხვედრები როგორც ხელისუფლების, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, სტარტაპებთან, რომლებმაც საკმაოდ კარგი შესაძლებლობები აქვთ ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით. დღევანდის წევრებმა იმედი გამოთქვეს, რომ მათი ვიზიტი ქვეყანაში იქნება შედეგიანი და ორმხრივად სასარგებლო როგორც ინვესტიციების, ისე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.



პრეზიდენტი სომხეთის ელჩი მიიღო

საპარტეზოლო პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საქართველოში სომხეთის ელჩი რუბენ სადოიანი მიიღო.

გახარიამ დიპლომატს სომხეთის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის იდეას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს.

ინფორმაციას საქართველოში სომხეთის საელჩო ავრცელებს.

სომხეთის დამოუკიდებლობის დღე



23 სექტემბერს რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში ჩვენი მეზობელი სომხეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა.

ზეიმზე საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო სექტორის ხელმძღვანელ მუშაკთა გარდა იმყოფებოდნენ თბილისში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

შეკრებილთ მიესალმა საქართველოს ვიცე-პრემიერი მაია ცქიტივილი. სომხეთის ელჩს საქართველოში რუბენ სადოიანს ესაუბრა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი.

სომხეთისთვის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის დაუფინანსოებელი აკორდი იყო სომეხ ხელოვანთა გრანდიოზული კონცერტი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს მოძველ სომეხ ხალხს დამოუკიდებლობის დღეს და მშვიდობიან მომავალს, წინსვლას და აღმშენებლობას უსურვებს.



საქართველოს „ეურაქსესში“ განხილვას ულოცავენ

საპარტეზოლო ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია „ეურაქსესში“ (EURA0058ESS) ოფიციალურად განხილვას უცხოელი მეცნიერები ეხმარებიან და ქართველ კოლეგებს ულოცავენ. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლების სამინისტრო ავრცელებს.

ტიციანო კამპორესი, რომელიც ბირთვული კვლევების ორგანიზაციაში CERN მოღვაწეობს და CMS ექსპერიმენტის ხელმძღვანელია, მიიჩნევს, რომ „ეურაქსესში“ საქართველოს განხილვას განათლების ხელშეწყობისა და ქართველი მეცნიერების ინტერნაცი-

ონალიზაციის საქმეში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

„ეურაქსესში“ განხილვას დაეხმარება როგორც ქართველ მეცნიერებს, ასევე სტუდენტებს, ჰქონდეთ წვდომა ევროპული საგანმანათლებლო ინსტიტუტების სამეცნიერო ქსელებსა და უახლეს ინფორმაციაზე, რაც საშუალებას მისცემს მათ, მეტად ინტეგრირდნენ ევროპულ აკადემიურ სივრცეში. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, – აღნიშნა ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა ტიციანო კამპორესიმ.



ირლანდიაში ელჩად - ბიორკი ზურაბაშვილი

ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად გიორგი ზურაბაშვილი დაინიშნა.

2014 წლიდან დღემდე ზურაბაშვილი ირლანდიაში საქართველოს საქმე-

თა დროებითი რწმუნებულის იყო. აქვს მთავრობის კანცელარიაში და საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ზურაბაშვილის კანდიდატურა

საქართველოს პრეზიდენტს მთავრობამ წარუდგინა. დადგენილი პროცედურით, სალომე ზურაბაშვილმა კანდიდატურა მოიწონა და შესაბამისი განკარგულება გამოსცა.

ლევან ვასაძე: „ქრამერი ქრამერის წინააღმდეგ“ მახსენებოდა, როცა პუშკინი ირმა ინაშვილზე ინდაურის ქესტიკულაციით განეულ ქრამერს

მერილ სტრიპისა და დასტინ ჰოფმანის საოჯახო დრამა, „ქრამერი კრამერის წინააღმდეგ“ დაშორებისა და ერთადერთი შვილის ვერგაყოფის გამო სასამართლო პროცესით, მახსენებოდა, როცა ვუცქერდი ირმა ინაშვილზე ინდაურის ქესტიკულაციით განეულ ქრამერს, – ამის შესახებ ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ ვიდეომიმართვისას განაცხადა.



„აქაც „ქრამერი პრონივ კრამერა“ გამოვიდა, რადგან ამ მეთაურის სხოვანმა ნაჩინოვნიკარმა მხოლოდ თავის თავსა და სამწუხაროდ, თავისივე ქვეყნის იმიჯს დაუშავა საქართველოში თავისი უმსგავსო საქციელით. მისი საქციელის კომენტარებს არ დავინებებ, მე მგონი, ამ დღეებში უკვე საკმარისად ითქვა ჩვენი საზოგადოების მხრიდან, მაგრამ იქ დამსწრე ქართველი მამაკაცების, თუ „ნაც-ქოცების“ საქციელი ნამდვილად მინდა, ცოტა განვიხილო. ყველა ჩემმა უცხოელმა ნაცნობმა, ვინც ამ მასხარას კადრები ნახა, მომწერა, რა გჭირთ ქართველებსო. ქართველმა ებრაელმა მეგობარმა მითხრა, – ისრაელში ვინმე ჩვენს დეპუტატს რომ ვინმე უცხოელმა ასე-

ჯორჯ ბუშ უმცროსს თავში ფეხსაცმელი ქვეყნის შეურაცხყოფისთვის და როგორ ჩაჯდა სიამოვნებით ამის მაქნისი არაბი ჟურნალისტი ციხეში, როგორ გახდა ის ეროვნული გმირი ერაყში და როგორ დაუდგეს ამის გამო მშობლიურ ქალაქში ძეგლი. ფრანგმა მეგობარმა თავზე ხელშემორტყმული ადამიანის „სტიკერები“ გამომიგზავნა ტელეფონით, იგივე ქნა ინგლისელმა ლორდმა მეგობარმა, რუსმა მეგობარმა კი მკითხა, კაცები აღარ დაგრჩათ პოლიტიკურ პარტიებშიო? მე მგონი, ნებისმიერი უცხოელის წი-

ნაზე ჩვენი მონობა და სიფარჩავი სამწუხაროდ, უკვე მთელი მსოფლიოს დასაცინი გახდა, რა, სირცხვილია. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვა, რომ ქვეყანაში ყველაზე უსირცხვილო ხალხის მიერ ინსპირირებულ უფადო აქციას „სირცხვილია“ ჰქვია. ეს კი ნამდვილად სირცხვილია. ყველაფერი ყირაზე გვიდგას. ყველაფერში მაგრები ვართ, ქართველობის გარდა“, – განაცხადა ლევან ვასაძემ.

მისივე თქმით, საკონფერენციო ოთახში ერთადერთი კაცური კაცი მხოლოდ ირმა ინაშვილი აღმოჩნდა, რომელიც ცოტა ხანს ელოდა, იქნებ გამოსარჩლებოდნენ და შემდეგ თავად მოიშორა მასზე ხელების მოთათუნე ინდაური. „ეს იყო საოცრად სიმბოლური გამოვლინება ამ მოწინააღმდეგისა, რომლებიც ჩვენ გვეძახიან მონებს და გაგრძელება იმ ცირკის სერიალისა, სადაც უკვე მონიფული ასაკის ქართველმა დეპუტატმა ემზარ კვიციანიმა დიდხანს უთმინა უკიდურესი პირდაპირი შეურაცხყოფა მასზე მიმხდარ ჯეელებს და მერე მთელი მათი დაფუტვნილი ახალგაზრდობა გაბერტყა მარტოდმარტო...“

ღირსეული

„პერსონალი“, „ბრინჯაოს“...

ძარბაზი პარაოლიმპიკები მაღალი სიწვლის მედლებით ბრუნდებიან სამშობლოში. ლაშა ყიზილაშვილმა 90 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზა, ვერცხლის მედალი მოიპოვა და ვიცე-ჩემპიონი გახდა. ამავდროულად გიორგი ქალაძემ 66 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი მოიპოვა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრები ტაშკენტის გრან-პრიზე, რომელიც უძლიერესი ტურნირია, სრული შემადგენლობით არ იყო წარმოდგენილი, გუნდისთვის დანაკლისი იყო ტიტულოვანი პარაოლიმპიკების - ზვიად გოგოჭურის, გიორგი გამაჯაშვილისა და რევაზ ჩიკოიძის გარეშე ასპარეზობა, თუმცა, ახალგაზრდა პარასპორტსმენებმა, მათ შორის დებიუტანტმა - ლაშა ყიზილაშვილმა, საუკეთესო შედეგი აჩვენა.



ზოზა, თუმცა, ახალგაზრდა პარასპორტსმენებმა, მათ შორის დებიუტანტმა - ლაშა ყიზილაშვილმა, საუკეთესო შედეგი აჩვენა.

ვიტალი ჯაფარიძე

რაგბი ჩვენი თაგაშია!



პირველი სენსაცია

იბაონიაში მიმდინარე მსოფლიო თასზე პირველი სენსაცია დაფიქსირდა: ურუგვაიმ ფიჯი 30:27 დაამარცხა. დებიუტში კუნძულები 12:7 დანაურდნენ, რის შემდეგაც შესვენებამდე ღირებული ველარაფერი შექმნეს, ხოლო ურუგვაელებმა ორი ლელო და ერთი ჯარიმა გაიტანეს, ჯამში კი ტაიმი სამხრეთამერიკელებმა 24:12 მოიგეს. მეორე ნახევარი ფიჯელებმა აქტიურად დაიწყეს და 47-ე წუთზე ბურთი

დაამიწეს, მაგრამ გარდასახვა ვერ გაიტანეს და, ზოგადად, ოკეანელთა დამრტყმელმა 5 ცდა ვერ გამოიყენა. მატჩში გადამწყვეტი 75-ე წუთზე ურუგვაელთა გატანილი ჯარიმა აღმოჩნდა, რითაც 30:22 დანაწარმოდა და მ-ქულიან შანდიკაპს ერთი გარდასახული ლელოც ვეღარ შეელოდა. თუმცა, ფიჯიმ ბოლო წამზე ლელო დადო და პრემიალური ქულა მოიპოვა.

კოზა კოპანიძე

ინტერნეტიდან

ფიფას შეთავაზება



წარმომადგენელი სლოვაკი მოდელი და მსახიობი ლუსია ოსკეროვა უკვე კარგა ხანია, რაც პოლიციურ მოღვაწეებს და რამდენიმე საინტერესო კინოსახის შექმნაც მოასწრო. იგი ასევე წარმატებით გადაეშვა ანიმაციურ სამყაროში და მისი გახმოვანებით არაერთი თანამედროვე მულტფილმი იხილეს მოზარდებმა და არამხოლოდ მათ.

თუმცა, სულ ახლახანს ლუსიას მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ - ფიფამ სრულიად ახალი და მისთვის მეტად ამბიციური წინადადება შესთავაზა. მსოფლიო ფეხბურთის

ბოსებს სურთ, რომ ოსკეროვამ 2022 წელს ყატარში გასამართავი მუნდიალის თეატრალურ მხარეებზე იზრუნოს.

ლუსია ოსკეროვა მის სხვა კოლეგებთან ერთად იქნება პასუხისმგებელი მუნდიალის მატჩების წინა გახსნის თეატრალურ მხარეზე, მიღებების დაგეგმვაზე, დასურვის ცერემონიალის დადგმაზე და სხვა... თავად სლოვაკური წარმომავლის ლამაზმანი ამ შეთავაზებით მეტად დაინტრიგებულია და რაც გამოუვა, ყველა ერთად ვნახავთ და გავიგებთ.

მანუჩარ ბიორბაძე


ფეხბურთი

ამჯერად დავმარცხდით

სლოვენის დედაქალაქ ლიუბლიანაში უეფას კონგრესი გაიმართა, სადაც ევროპალიგის 2020-2021 წლების სეზონის ფინალის მასპინძელი ქალაქი გაირჩვა. კანდიდატი ორი იყო - თბილისი და სევილია. ჩვენდა სამწუხაროდ, უეფამ უპირატესობა ანდალუზიას მიანიჭა და 2021 წლის 26 მაისს ევროპა ლიგის ფინალი „რამონ სანჩეს პისხუანზე“ გაიმართება.

როტურნირების ფინალის მომავალი მასპინძლები: 2023 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი - ლონდონი (ინგლისი). 2022 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი - მიუნხენი (გერმანია). 2021 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი - სანკტ-პეტერ-ბურგი (რუსეთი). ევროპის 2022 წლის ჩემპიონატი ფუტსალში - ამსტერდამი და გრონინგენი (ჰოლანდია). დავძენთ, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალს სტამბოლი, ხოლო ევროპა ლიგის გადამწყვეტ შეხვედრას გდანსკი უმასპინძლებს.

გიორგი შოთაძე



ლეგიონერი

ამერიკიდან - საფრანგეთში



სამხრეთაფრიკელი ნაკრებისა და თბილისის „მეგასის“ 17 წლის ხელბურთელი ნიკოლოზ კალანდაძე კარიერას ფრანგულ კლუბ „შამბერიში“ გააგრძელებს.

„შამბერი საფუა“ საფრანგეთის ერთ-ერთი სახელოვანი გუნდია - ქვეყნის 2001 წლის ჩემპიონი, თერთმეტგზის მეორე პრიზიორი და თასის ხუთგზის მფლობელი.

შარშანდელ სეზონში კლუბმა მესამე ადგილი დაიკავა და EHF-ის თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

17 წლის ხელბურთელი თავიდანვე ძირითადის ნევრი არ იქნება - შამბერის სარეზერვო გუნდთან ერთად ითამაშებს საფრანგეთის რანგით მესამე, ნაციონალ 1 დივიზიონში.

ნიკოლოზ კალანდაძეს საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები და მომავალ სეზონშიც აქვს 18-წლამდელ ჭაბუკთა ნაკრებში თამაშის უფლება, თუმცა, 2019 წელს მან უკვე იასპარეზა ეროვნულ გუნდში, IHF-ის ერთა მსოფლიო ჩემპიონატზე და გამარჯვებულ იქცა.

როსტომ რაჭველიშვილი

ტრავმა

დურანტი მთელ სეზონს გამოტოვებს

„ბრუკლინ ნეთსის“ ფორვარდი კევინ დურანტი 2019/20 წლების სეზონს მთლიანად გამოტოვებს. აღნიშნულ ინფორმაციას კლუბის გენერალური მენეჯერი შონ მარქსი ავრცელებს.

დურანტს ქუსლის სერიოზული ტრავმა ანუხებს. მან ეს დაზიანება განვილილი სეზონის პლეი-ოფში მიიღო.

კევინმა „ბრუკლინთან“ ზაფხულში 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაშიც ფორვარდი 165 მილიონ დოლარს მიიღებს.

გაშან დოლიძე



ქილევ ერთი „ქართული“ სირსხვილი

მსპნური მედიის ცნობით, პოლიციამ ბილბაოში 25 წლის ბრაზილიელი ქალის ჯგუფურ გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ოთხი პირი დააკავა. მათ შორის ერთ-ერთი ქართველია. ესპანელი ჟურნალისტები მომხდარის დეტალებზე საუბრობენ. მათი ინფორმაციით, ქალი ჩხუბის შემდეგ ქუჩაში გაცნობილ მამაკაცთან ბინაში ასვლას დათანხმდა.



როგორც დაზარალებული ყველა, სასმელში „თეთრი ფერის ფხვნილი გაურიეს, რის გამოც მან წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაკარგა“. გამოძიების

ცნობით, გონების დაკარგვამდე ქალი ძმას დაუკავშირდა. სწორედ ასე მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დადგენა. პოლიციამ დააკავა დანაშაულში ეჭვმიტანილები. მათ შორის ერთი ქართველი, ორი ალჟირელი და ერთი ესპანელია. ექსპერტიზამ დაზარალებული გოგონას სისხლში მოძალადეების ბიოლოგიური კვალი დაადასტურა.

თაღლითობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თაღლითობის ფაქტზე, შპს „ქართულ-ამერიკული სამშენებლო კომპანია“-ს დამფუძნებელი და დირექტორი ნუგზარ ბ. დააკავეს, ხოლო სამენარმეო გულგრილობის ფაქტზე შპს „არგი ჯგუფი“-ს დამფუძნებელი და დირექტორი გიორგი ხ. პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქალაქ საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების თაობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერში გამარჯვებულმა შპს „არგი-ჯგუფის“ დირექტორმა და 100% წილის მფლობელმა გიორგი ხ-მ ქვეკონტრაქტორად დაიქირავა შპს „ქართულ-ამერიკული სამშენებლო კომპანია“, რომლის დირექტორი ნუგზარ ბ. დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემების შეტანის გზით მოტყუებით დაეფულა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კუთვნილი 8 886,18 ლარს.

გამოძიება თაღლითობისა და სამენარმეო გულგრილობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 220-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით).

სამართალდარღვევის 356 ფაქტი გამოვლინდა

16-22 სექტემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევის 356 ფაქტი გამოვლინდა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 3 032 გადაამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 99 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადაამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 19 ფაქტი; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-საღარიბო აპარატის გამოუყენებლობის 238 შემთხვევა.

უაქციო საქონლის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონ სოფელ რუხში, რიყეში, ცაცხეში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში და



ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, უაქციო საქონლის (ჯამში 85,200 ლერი სივარდი და ალკოჰოლური სასმელი) შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს.



პულოსაკით!

გივი შულაროვი იუბილარია



საქართველოს პარლამენტართა პალატის წევრები უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ საიუბილეო თარიღს, 29 სექტემბერს, დაბადებიდან მე-80 წლისთავს ამავე პალატის წევრს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, 1995-1999 წ.წ. და 1999-2004 წ.წ. მონვევის საქართველოს პარლამენტის წევრს, ამავე მონვევის პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრს, საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს დროებით რწმუნებულს (2008-2012), ხალხთა მეგობრობისა და ღირსების ორდენების კავალერს, ბატონ გივი შულაროვს და უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

პალატის სახელით კობა ამირხანაშვილი

„შნობელი-2019“

დასპრილი პამპერსები, ბინძური ბანკნოტები, ზურბის ფხანა და სხვა სისულელეები

რამდენიმე დღის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ჰარვარდის უნივერსიტეტში ნობელის პრემიის ცნობილი ანტიპოდის, ეგრეთ წოდებული „შნობელის პრემიის“ 29-ე პრეზენტაცია გაიმართა. შნობელის პრემიის ანიჭებენ მეცნიერებაში მეტად საეჭვო, ანდა სულაც, სულელური გამოგონებებისთვის, რისთვისაც მთავარია „გამოგონების“ ავტორი აკმაყოფილებდეს „სადაღო“ ჯილდოს მთავარ მოთხოვნას – საზოგადოება ჯერ გულიანად გააცინოს, შემდეგ კი დააფიქროს. გთავაზობთ „შნობელის პრემიის“ რამდენიმე ლაურეატის „აღმოჩენებს“.



ქანიკური ძიძა“ ბავშვს ახალ საფენს აცმევს.

მომონიკა: კუჭის ამშლელი ვერო

თურქმა, ჰოლანდიელმა და გერმანელმა მეცნიერებმა იმის გარკვევა გადაწყვიტეს, თუ რომელი ქვეყნის ბანკნოტებია ყველაზე მეტად სახიფათო ჯანმრთელობისთვის. ექსპერიმენტში შევიდა ვალუტა მონანი-ლეობდა: ვერო, ამერიკული და კანადური დოლარები, ინდური რუპიები, რუმინული ლეები, ხორვატული კუნები და მაროკანული დირხამები. ისინი ბაქტერიებით – ოქროსფერი სტაფილოკოკებით, ენტეროკოკებითა და მუცლის ჩხირებით დააბინძურეს და შემდეგ მეცნიერები აკვირდებოდნენ, თუ რომლებიდან გადადიოდნენ ისინი უფრო აქტიურად მომხმარებელთა კანზე. საბოლოო ანგარიშით, ლეებზე სამივე შტამი შემორჩა, რის გამოც ვალუტა ექსპერიმენტში მონანილე სხვა ვალუტებს შორის ყველაზე სახიფათოდ აღიარეს.

ანატომია: ფოსტალიონის ტესტიკულების საიდუმლო. ამ სფეროში შნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ ფრანგი მეცნიერები როჟე მუსე და ბურას ბენგუდიფა, რომლებმაც არაერთი კვლევა მიუძღვნეს მეტად აქტუალურ საკითხს: რამდენად სიმეტრიულია მამაკაცის კვერცხები ტემპერატურის მხრივ?



მკვლევარებმა სამი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლებშიც მონანილეობა ფოსტალიონებმა და ავტობუსების მძღოლებმა მიიღეს. შედეგად აღმოჩნდა, რომ ასიმეტრია მაინც არსებობს – მარცხენა ტესტიკულები, საშუალოდ, ნახევარი გრადუსით უფრო თბილებია. ასევე დადგინდა, რომ თუკი ფოსტალიონებსა და ავტობუსის მძღოლებს გავაშიშვლებთ, მათი ტესტიკულები ცელსიუსის ორი გრადუსით კი გაცივდება, მაგრამ ასიმეტრია მაინც შენარჩუნდება: ოღონდ ახლა უფრო თბილი მარჯვენა კვერცხები იქნება. **ინფინიტი:** აპარატი პამპერსების შესაცვლელად

როსფერი სტაფილოკოკებით, ენტეროკოკებითა და მუცლის ჩხირებით დააბინძურეს და შემდეგ მეცნიერები აკვირდებოდნენ, თუ რომლებიდან გადადიოდნენ ისინი უფრო აქტიურად მომხმარებელთა კანზე. საბოლოო ანგარიშით, ლეებზე სამივე შტამი შემორჩა, რის გამოც ვალუტა ექსპერიმენტში მონანილე სხვა ვალუტებს შორის ყველაზე სახიფათოდ აღიარეს. ყველაზე უსაფრთხო კი ხორვატული კუნები აღმოჩნდა, მათზე ბაქტერიები საერთოდ არ შემორჩნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მშვიდობის პრემია მიიღეს იმ მეცნიერებმა, რომლებმაც დაადგინეს, რომ ზურგისა და იდაყვის მოფხანა გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე ბეჭისა.

ფსიქოლოგიაში შნობელის პრემია მიანიჭეს ფრიც სტრეკს. როგორც წარდგინებაშია აღნიშნული, მან დაადგინა, რომ ადამიანი, რომელსაც პირში ფანქარი უჭირავს, თავდაპირველად უნებლეთ ილიმება და ამის გამო უფრო ბედნიერია, შემდეგ კი დარწმუნდა, რომ ეს ასე არ ყოფილა. ერთ-ერთი ყველაზე საპატიო შნობელის პრემია ფიზიკაში ერთდროულად მიიღეს ამერიკელმა, ტაივანელმა, ავსტრალიელმა, ახალ ზელანდიელმა, შედმა და ბრიტანელმა მეცნიერებმა, რომლებმაც იმის ახსნა შეძლეს, თუ როგორ ახერხებენ ვომბატები – პატარა, ფუმფულა, საყვარელი ცხოველები, რომლებიც ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ბინადრობენ, ექსკრემენტების კუბიკებად „გამოშვებას“.





კოპულარული ფესტივალი „განდგანა“

12-13 ოქტომბერს ბათუმი სოფლის ტურიზმის ფესტივალს „განდგანა“ უმასპინძლებს. სოფლის ტურიზმის პოპულარობის მიმართულებით ყველაზე საინტერესო და პოპულარული ფესტივალი წელსაც ტრადიციულად ევროპის მოედანზე გაიმართება. ორი დღით აჭარის სუთივე მუნიციპალიტეტი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნაწარმით, პროდუქტით, ხელნაკეთი ნივთებით, ტრადიციებითა და ფოლკლორით ბათუმის შუაგულში იქნება წარმოდგენილი, რაც საშუალება მისცემს ფესტივალის სტუმრებს, აჭარულ სოფლებში ქალაქიდან გაუსვლელად იმოგზაურონ.

„განდგანა“-ს ფარგლებში იგეგმება კულინარიული და ცეკვის მასტერკლასები, მხიარული შეჯიბრებები და სხვადასხვა საინტერესო აქტივობები ფესტივალის სტუმრებისთვის. მრავალფეროვანი იქნება ფესტივალის მუსიკალური პროგრამაც, რომელშიც ძირითადად ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფები და ბენდები მიიღებენ მონაწილეობას.

სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდგანა“ 2015 წლიდან აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით იმართება.



იტალიური ხელოვნების ტრიუმფი

საბარტოლომეო ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, 27 სექტემბრიდან ქართველ დამთავლიერებლებს საშუალება ექნებათ XVI-XVII საუკუნეების იტალიური მხატვრობის სამ საუკუნეს – გვიანი რენესანსიდან როკოკომდე გაეცნონ.

ეროვნულ გალერეაში ტინტორეტოს, გუერჩინოს, ბერნარდო სტროცის, ანტონიო კანალეტოს, ჯოვანის ლორენცო ბერნინისა და სხვა ფერმწერების 55 ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი.

„ფერი ტინტორეტოდან კანალეტომდე“ – იტალიური მხატვრობის სამი საუკუნე, ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ეროვნული მუზეუმისა და იტალიის საელჩოს ორგანიზებით ხორციელდება.

ნამუშევრების ნახვა დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში 20 ნოემბრამდე იქნება შესაძლებელი.

„არჩი შეხვდა არჩის“

აფრიკული ტურის ფარგლებში სამეფო ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრის, პრინცი ჰარისა და მეგან მარკლის შვილის არჩი უინძორის იშვიათი ფოტოები გავრცელდა. ნათლობის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მეგანმა და ჰარიმ 4 თვის შვილი კამერების წინაშე გამოიყვანეს.

მშობლებმა არჩი საზოგადოებას მაშინ წარუდგინეს, როდესაც აფრიკის ანტი-აპარტეიდის მოძრაობის მთავარების კოპოსს არჩიშიშოპ დესმონდ ტუტუს შეხვდნენ.



„არჩი შეხვდა არჩის“, – ამ წარწერით გამოქვეყნდა პოსტი სასაქონის ჰერცოგისა და ჰერცოგინის ინსტაგრამზე.

მსოფლიოში უდიდესი აეროპორტი

პეკინში მსოფლიოში უდიდესი აეროპორტი გაიხსნა. ახალი დასინის აეროპორტი პეკინის ცენტრიდან 50 კილომეტრში მდებარეობს. ტერმინალის ფართობი 700 ათასი კვადრატული მეტრია და მას ექვსქიმიანი ვარსკვლავის ფორმა აქვს.

დასინის საერთაშორისო აეროპორტი ჩინეთის ლიდერმა სი ძინპინმა პირადად გახსნა. პეკინის ცენტრიდან ახალ აეროპორტში ჩქაროსნული მატარებლით მისვლას 20 წუთი დასჭირდება.

ვარაუდობენ, რომ 2021 წლისთვის პეკინის ახალი აეროპორტი 45 მილიონ მგზავრს მოემსახურება, მოგვიანებით კი ამ მაჩვენებლის 100 მილიონ მგზავრამდე გაზრდა დაგეგმილია. აეროპორტს რვა ასაფრენი ბილიკი აქვს, რომლებიც 2024 წლამდე სრულად ამუშავდება.

მსოფლიოში უდიდესი აეროპორტის დიზაინის ავტორი წარმოშობით ერაყელი ბრიტანელი არქიტექტორი ზაჰა ჰადიდა. შენობის ექვსივე ფრთა ტრადიციულ ჩინურ კულტურას ეძღვნება. მათ შორის არის აბრეშუმის, ჩაი და ფაიფური. ტერმინალში 80-ზე მეტი გეითია.

აეროპორტის მშენებლობა ოთხი წელი გრძელდებოდა და დაახლოებით 120 მილიარდი იუანი (15 მილიარდი ევრო) დაჯდა. მთელი ინფრასტრუქტურის მონაცემების ხარჯების გათვალისწინებით კი ახალი აეროპორტის აშენება ჩინეთს 400 მილიარდი იუანი დაუჯდა.



კლასიკო დომინგო მებრძოლიტენ ოპერა დატოვა

ლებანდარული ესპანელი ტენორი, სექსუალური შევიწროების ბრალდებებთან დაკავშირებული სკანდალის გამო, ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერას ტოვებს და უარს ამბობს უკვე დაგეგმილ სექტაკლებში მონაწილეობის მიღებაზე.

ამის შესახებ განცხადება თავად საოპერო მომღერალმა გააკეთა, რაც მოგვიანებით მეტროპოლიტენ ოპერის ოფიციალურმა წარმომადგენელმაც დაადასტურა.

25 სექტემბერს პლასიდო დომინგოს ჯუზეპე ვერდის ოპერა „მაკბეტში“ მთავარი პარტია უნდა ემღერა მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე.


თავისი 50-წლიანი კარიერის განმავლობაში პლასიდო დომინგომ 150 ნამყვანი საოპერო პარტია შეასრულა და სულ ცოტა 21-ჯერ გახსნა სეზონი მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ სექსუალური შევიწროების სკანდალის გამო, დალასის საოპერო თეატრმა გააუქმა დომინგოს მონაწილეობით დაგეგმილი გალა კონცერტი.

ლოს ანჯელესის საოპერო თეატრმა კი, სადაც პლასიდო დომინგო მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა, განაცხადა, რომ ის საკუთარ დამოუკიდებელ გამოძიებას ჩაატარებს სექსუალური შევიწროების ბრალდებებთან დაკავშირებით.

აგვისტოს თვეში ცნობილი გახდა, რომ ცნობილ საოპერო მომღერალს 9 ქალი უყენებდა ბრალდებას „გასახდელ ოთახებში არასწორად მოქცევის, კონცნის მცდელობებისა თუ შეხვედრების დაჟინებული მოთხოვნების“ გამო.

მოგვიანებით კიდევ 11-მა ქალმა საოპერო ვარსკვლავს პლასიდო დომინგოს სექსუალურ შევიწროებაში დასდო ბრალი.



| | | | |
|--|--|--|---|
| | უხსოვარი პალატის კარსი: აუტოლოგრაფი - 2.9694; პირი - 3.2634; ბრიტანული მიკროსკოპი - 3.7002; 100 რუბლი - 4.6626; თურქული ლირა - 0.5228; ანტიკვარული მანათი - 1.7461; 1000 სომხური დრამი - 6.2448. | აქციები 26 სექტემბერისთვის აკროპოლიტი სამარტოლო: ბაზი - ლაშქ +11, ლაშქ +28 მთიანი რაიონები - ლაშქ +6, ლაშქ +25 დანაკვეთი სამარტოლო: ბაზი - ლაშქ +13, ლაშქ +26 მთიანი რაიონები - ლაშქ +10, ლაშქ +24 თბილისი: ლაშქ +14, ლაშქ +27 | დავალიკაპო, მოგზავრათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge |
|--|--|--|---|